პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 65 (3549)

3 1968 წ. აპრილი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## უკანასკნელ საათს

## თბილისელთა ფრე

◆ მოსკოვი, 2 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ცსკა-ს საცურაო აუზში დაიწყო სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის დასკვნითი ტური. თბილისისა და ლვოვის დინამოელთა შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 4:4. 3 ბურთი 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმებით გაიტანა ისელიძემ, ხოლო ერთი, ძალიან ლამაზი გოლის ავტორად ხანაძე მოგვევლინა. კარგად ითამაშა ახალგაზრდა მეკარე ნიჟარაძემ. მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა ლენინგრადის „ბალტიკა“ — 6:2.

თ. ჟიჟინაძე.

# მოყვარულთა რიგები თხელდება

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ალმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებამ ეგრეთ წოდებული ღია ტურნირების თაობაზე ფაქტიურად წაშალა ზღვარი მოყვარულთა და პროფესიონალთა შორის და იგი სამოყვარულო ჩოგბურთიდან ბევრი გამოჩენილი სპორტსმენის წასვლის სიგნალად იქცა. როგორც ამ დღეებში ვიუწყებოდით, სამოყვარულო სტატუსს უღალატა მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა, ავსტრალიელმა როი ემერსონმა. მის მაგალითს მიბაძა ამერიკის შეერთებული შტატების პირველმა ჩოგანმა, უიმბლდონის ჩემპიონმა ბილი ჯინ კინგმა. უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების ცნობით, მოკლე დროში აპირებენ პროფესიონალებში გადასვლას საფრანგეთის ჩემპიონი ფრანსუაზა დიური, ინგლისის ჩემპიონი ენ ჰეიდონ-ჯონსი, ამერიკელი როზმარი კაზალსი, დანიელი იან ლეშლი და სხვა ცნობილი ოსტატები.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ალმასრულებელი კომიტეტის ამ უპრეცედენტო გადაწყვეტილების გამოქვეყნების მეორე დღესვე გახდა ნათელი, თუ რამდენ აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა მან (და ალბათ კიდევ მოუტანს) სამოყვარულო ჩოგბურთს.

სხვათა შორის, მეხიკოს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა, რომ დიდ საჩოგბურთო ტურნირში, რომელიც ოლიმპიური თამაშების პერიოდში მოეწყობა, დაუშვებს მხოლოდ იმათ, ვისი სამოყვარულო სტატუსი სავსებით უმწიკვლო იქნება.



## 15 სექტემბრამდე

ჭადრაკის მეფის ტახტისთვის ბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონის ტ. პეტროსიანის მეტოქის ვინაობა ა. წ. 15 სექტემბრისთვის უნდა გაირკვეს. ასეთია ფიდე-ს დადგენილება. ეს იმისთვის, რომ ორივე მეტოქემ შეძლოს მომზადება მატჩისთვის, რომელიც 1969 წლის აპრილისთვისაა დანიშნული.

როგორც ცნობილია, გელერი და სპასკი გუშინ უკვე შეუდგნენ ბრძოლას სოხუმში. მაისის დამდეგს იუგოსლავიაში ლარსენი და პორტიში შეხვდებიან ერთმანეთს. ამ მატჩებში გამარჯვებულნი ორიოდე კვირის შესვენების შემდეგ ნახევარფინალში იასპარეზებენ.

ტალ — გლიგორიჩის მატჩი სტარტს აიღებს 21 აპრილს ბელგრადში. კორჩნოი და რეშევსკი თამაშს 28 აპრილს დაიწყებენ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მატჩის ადგილის თაობაზე. აქაც, სანამ გამარჯვებულნი ნახევარფინალური მატჩის სათამაშოდ მიუსხდებიან ჭადრაკს, ათიოდე დღეს დაისვენებენ.

მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ მატჩებში მეტოქენი ათ-ათ პარტიას ითამაშებენ. ყაიმის შემთხვევაში ისინი დამატებით კიდევ ოთხ პარტიას გაითამაშებენ, მაგრამ პირველ მოგებამდე. თუ ეს „მატჩიც“ ყაიმით დასრულდა, მაშინ გამარჯვებულს წილისყრა „დაასახელებს“.

ფინალურ მატჩში 12 პარტია გათამაშდება. თუ მეტოქეებმა აქაც ვერ გაარკვიეს ურთიერთობა, მაშინ კვლავ დამატებითი 4 პარტია და საჭირო შემთხვევაში — წილისყრაც. ეს ორთაბრძოლა აგვისტოში მოეწყობა. თამაშის ადგილს თვით ფინალისტები აირჩევენ, ისევე როგორც ამას ნახევარფინალისტები გააკეთებენ.

## გუშინ...

სოხუმში შედგა ე. გელერ — ბ. სპასკის მეოთხედფინალური მატჩის I პარტია, რომელშიც თეთრებით გელერი თამაშობდა. ვერც ერთმა მეტოქემ ხელთ ვერ იგდო ინიციატივა და ამიტომ უკვე 21-ე სვლაზე ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის II პარტია 4 აპრილს შედგება.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის 2 კალენდარული მატჩი. აი, მათი შედეგები: „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ბაქო) 90:77 (34:38), „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 75:72 (38:39).



დაღესტანი. მახაჩყალაში სამთო ტურიზმი დიდად პოპულარულია. სექციაში, რომელსაც სპორტის ოსტატი მ. ტიმოშინი ხელმძღვანელობს, მოყვარული სპორტსმენები ეუფლებიან მთამსვლელობის საფუძვლებს, აწყობენ მთებზე ასვლას.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ტიმოშინი (მარჯვნიდან მეოთხე) მეცადინეობას უტარებს მთამსვლელებს.

ფოტო რ. დიკისა (საქდესი).

## ჩვენს ქვეყანაში

მოსკოვი. „ტრუდის“ ნიჩბოსნებმა რეგულარული ვარჯიში დაიწყეს.

ფოტო კ. მუსტაფინისა (საქდესი).



# უხეირო შედეგიც აშკარაა

ბაკურიანი, 2 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გრძელდება ახალგაზრდა სამთომოთხილამურეთა საკავშირო პირველობა. გოგონებმა ერთ დღეს დაისვენეს და კვლავ დაუბრუნდნენ სარბიელს — გუშინ სპეციალურ სლალომში გამართეს შეჯიბრება. ჭაბუკები ამჯერად მაყურებლებს შეუერთდნენ. ისინი მეორე დღისთვის ემზადებოდნენ და თან ალბათ თავიანთ მომავალ ასპარეზსაც ამოწმებდნენ. მათთვის ტრასა ახლებურად მოეწყობა, მაგრამ გარემოსთვის თვალის შეჩვევაც ხომ საქმეა!

საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში სსრ კავშირის სამთომოთხილამურეთა უხეირო შედეგებმა ტურნირის ორგანიზატორებს სარბიელის გართულება უკარნახა, რათა მომავალი ცვლა აქედანვე მიეჩვიოს სიძნელეთა დაძლევას. ერთი სიტყვით, საშუალო და უფროსი ასაკის გოგონათა ჯგუფში მოასპარეზე 107 მოთხილამურეს ძნელი გამოცდა ელოდა. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯთა კოლეგია, რომელსაც რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი მ. გავა უდგას სათავეში, უნაკლოდ მუშაობდა. შეჯიბრება დიდხანს გაგრძელდა და დღის დამლევს საუკეთესონიც გამოვლინდნენ.

ამჯერად ექვსეულში ვეღარ მოხვდა ჩვენი რესპუბლიკის გუნდის წევრი მედეა თვაური, რომელიც უფროსი ასაკის ჯგუფში დაწინაურდა სწრაფდაშვების შემდეგ. სხვა ლიდერების — სვეტლანა ისაკოვასა (მანჩეგორსკი, „ტრუდი“) და სკაიდრიტე მიზონეს (რიგა, „ვარპა“) დავაში ამჯერად ვალენტინა კოზლოვამ („დინამო“) და ტატიანა ზუბკოვამ (ცსკა) სცადეს ჩარევა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც რიგელს დარჩა. მიზონემ შეჯიბრება 1 წუთსა და 22,2 წამში დაამთავრა, რაც 0,4 წამით სჯობს სპორტის ოსტატ ისაკოვას მაჩვენებელს. III ადგილი დაისაკუთრა კოზლოვამ — 1.24,6.

თუ უფროსი ასაკის ჯგუფში ლიდერებმა პოზიციები შეინარჩუნეს, უმცროსი ასაკის ჯგუფში (მათთვის ტრასა 300 მეტრით დაამოკლეს) ახალი სახელები გამოჩნდა. სწრაფდაშვებაში გამარჯვებულები ა. პოპკოვიჩი, ლ. რუმიანცევა და ო. ხუხლაევა ამჯერად საპრიზო ექვსეულს მიღმა დარჩნენ. პირველობა აშკარა უპირატესობით მოიგო ლუბა კონოპოლცევამ (ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, „ლოკომოტივი“) — 1.15,8. II პრიზიორი ზაირა კომულა (რიგა, „ვარპა“) მას 1,9 წამით ჩამორჩა. ამ უკანასკნელმა 0,1 წამით აჯობა ევგენია სემიაკინას („შრომითი რეზერვები“).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ვარპას“ გოგონათა ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს. ორი დღის მანძილზე ამ კოლექტივის წევრებმა ოთხი საპრიზო ადგილი მოიპოვეს და გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების საკმაო შანსიც აქვთ.

ვერაფრით გაგვახარეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ბაკურიანის სკოლის მოთხილამურეებმა. ამ გუნდების გოგონებიდან სპეციალურ სლალომში საპრიზო ადგილზე, როგორც ხედავთ, ვერავინ მოხვდა.

წარუმატებლობის მიზეზი? ს. მიზონემ გვიამბო: ჩვენთან ასეთი ბუნებრივი პირობები როდია, მაგრამ განათლების სამინისტრო და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოები დიდ ყურადღებას აქცევენ სამთოსათხილამურო სპორტის განვითარებას. ბავშვებს რეგულარული ვარჯიშის ყველა პირობა აქვთ შექმნილი, ამასთან, სექციებში მხოლოდ აკადემიურად ძლიერ მოსწავლეებს იღებენ და თუ საჭიროა, საშუალო სკოლის მასწავლებლები დამატებით ამეცადინებენ მოთხილამურეებსო.

ჩვენთან როგორღაა? ბაკურიანში ნორჩ მოთხილამურეთა თითო-ოროლა ჯგუფია შექმნილი, მაღალხარისხოვანი ინვენტარიც აკლიათ და სპეციალური ტანსაცმელიც. ბოლო ხანს ერთი მავნე ფაქტიც შევამჩნევა: ბაკურიანის საშუალო სკოლის მოსწავლეებს სხვა საზოგადოების — „დინამოს“ ბავშვთა სპორტსკოლაში მეცადინეობის უფლებას არ აძლევენ. ზოგიერთი სპორტსაზოგადოების საბჭო ჯგუფების გახსნითაც არ იწუხებს თავს. ცხადია, უხეირო შედეგიც აშკარაა.

გ. ფარულავა,
ვ. მიქაბერიძე.

# სისწრაფის რკალზე



სპიდვეი ანუ, როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, „სისწრაფის რკალი“ საქართველოში მხოლოდ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში დამკვიდრდა. თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, სპეციალური სარბიელი მოეწყო. პირველი დიდი შეჯიბრებაც შარშან გაიმართა, როცა ამ სარბიელის წიდოვან ბილიკზე სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები გამოვიდნენ. მათთან ერთობლივმა წვრთნამ ჩვენი რესპუბლიკის მოტოციკლისტებისთვის უქმად როდი ჩაიარა. საკავშირო სპარტაკიადაში ჩვენებმა სათანადო ჩათვლა მიიღეს, ხოლო თბილისელი ვ. კლიმენტიევი სსრ კავშირის კანდიდატადაც ჩაირიცხა.

ამას წინათ თბილისს კვლავ ეწვივნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპიდვეისტები — ისინი მსოფლიოს მორიგი პირველობისთვის ემზადებიან და სავარჯიშოდ სწორედ საქართველოს დედაქალაქი აირჩიეს. წინა კვირას „ლოკომოტივის“ სტადიონზე პირველი შერჩევითი შეჯიბრება გაიმართა. თბილისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვ. კლიმენტიევმა ტურნირი კარგად დაიწყო და მალე ლიდერთა ჯგუფშიც შევიდა. მასთან ერთად დაწინაურდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი წიდოვან ბილიკზე რბოლაში, უფელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. პლეხანოვი და მისი თანაქალაქელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ყინულოვან ბილიკზე მოტორბოლაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კადიროვი.

საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვა პლეხანოვმა, II ადგილზე გავიდა კადიროვი, III — კლიმენტიევი.

მორიგი ტურნირი ამავე სტადიონზე მოეწყობა 13-14 აპრილს. ტურნირში საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას. ისინი გაითამაშებენ ჩვენი რესპუბლიკის ავტო-მოტოსპორტის ფედერაციის სპეციალურ პრიზს.

ჟანა ქაჯაია.

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი. ფოტო ა. კაკაბაძისა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# სამი ადგილის 5 პრეტენდენტი

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის დამთავრებამდე 50-მდე შეხვედრა დარჩა (ყველა მატჩის 20 პროცენტზე ნაკლები), მაგრამ ახალი ჩემპიონის დასახელება ჯერ კიდევ შეუძლებელია. ასეთი რამ არ მომხდარა ბოლო 6–8 წლის მანძილზე. 1960–1966 წლებში გამარჯვებული ჩემპიონატის დამთავრებამდე თვენახევრით ან ორი თვით ადრე იყო ცნობილი — ეს გახლდათ ცსკა (მოსკოვი), რომელშიც ქვეყნის ნაკრები გუნდის მოთამაშეთა ნახევარზე მეტი შედიოდა. დღესდღეობით ჩემპიონის სახელზე, პირველ სამ ადგილზე რეალურ პრეტენზიას აცხადებს 5 გუნდი. თავს ნებას მივცემ და დავახასიათებ ამ კოლექტივებს იმ თანმიმდევრობით, რა სახითაც ჩემპიონატის ბოლო დღისთვის წარმომიდგენია ისინი.

თბილისის „დინამოს" — სსრ კავშირის 1950, 1953 და 1954 წლების ჩემპიონს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს მეოთხედ მოიპოვოს უმაღლესი ტიტული: დაკარგული ქულებით გუნდი ახლა I ადგილზეა. დინამოელებს სხვის მოედანზე 6 თამაში აქვთ ჩასატარებელი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება შეხვედრები მუდმივ მეტოქეებთან — მოსკოვის არმიელებთან. მოგაგონებთ, რომ პირველ ორ მატჩში ამ გუნდებმა ქულები თანაბრად გაინაწილეს. მნიშვნელობით მეორე იქნება შეხვედრები გამოცდილ გუნდთან „კალევისთან", რომელიც VIII ადგილზეა. ამ ოთხ შეხვედრაში თბილისელთათვის ორ ქულაზე მეტის დაკარგვა არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ გუნდში დღეს არ თამაშობს სხიერელი (იგი ბერლინშია და ნატკენ ფეხს მკურნალობს), დინამოელები ბოლო მატჩებში დიდი აღმავლობითა და შთაგონებით თამაშობენ. ლენინგრადელ კალათბურთელებთან ბოლო მატჩში თავი გამოიჩინეს ახალგაზრდებმაც — ქარაბაკმა და მამალაძემ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამოცდილ მოთამაშეებს ალთაბაევს, ლეჟავას, უგრეხელიძეს, ნარიმანიძეს, ვის მხრებზეც უმთავრესად გადადის უმძიმესი შეხვედრების მთელი სიმძიმე, ეყოფათ ფიზიკური და მორალური ძალა ამ დაძაბული ჩემპიონატის წარმატებით დამთავრებისთვის.

ქვეყნის რვაგზის ჩემპიონები — მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელები ბოლო შეხვედრებში გაცილებით უკეთესად თამაშობენ. განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს დაცვა. ასტახოვს, კულკოვს, ტრავინს თითქმის ყოველ მატჩში 10-15 ქულა მოაქვთ გუნდისთვის. შორი მანძილებიდან მათი სროლისა სერიოზულად უნდა გეშინოდეს. გუნდს 4 შეხვედრა აქვს ჩასატარებელი კიევში უკრაინელ კალათბურთელებთან, რომლებიც, როგორც ცნობილია, შინ იშვიათად აგებენ. ამას გარდა, არმიელები მოსკოვში ხვდებიან საქართველოს ორივე გუნდს. როგორც ჩანს, სტუდენტთა გუნდის — „ბურევესტნიკის" მწვრთნელი მ. კეკელიძე ძალას არ დაიშურებს, რომ თუნდაც 1 ქულა აართვას ცსკა-ს და ამით თანამემამულეებსაც დაეხმაროს.

ყველაზე უკეთესი ადგილი, რომელიც ლენინგრადის სპარტაკელებს ქვეყნის ჩემპიონატში ოდესმე დაუკავებიათ, V იყო (1962 წელს). ეჭვი არ არის, წლეულს ისინი უფრო მნიშვნელოვან წარმატებას მოიპოვებენ. სპარტაკელებს ძნელი შეხვედრები ელით სტუმრად: 4 — კიევში, 2 — ბაქოში, მაგრამ თბილისში თამაშით მათ დაადასტურეს, რომ უკან არაკითარ შემთხვევაში არ დაიხევენ. ლენინგრადელთა გუნდში საუცხოოდაა ურთიერთშერწყმული ვეტერანთა გამოცდილება და ახალგაზრდების ჟინი. ეს ამ კოლექტივის მთავარ ღირსებად მიმაჩნია.

შემდეგ მოდის კიევის ორი გუნდი: ასკ და „სტროიტელი". მათ ზემოაღნიშნულ გუნდებზე მეტი ქულა აქვთ დაკარგული, მაგრამ ამ დანაკარგს ალბათ იმით აინაზღაურებენ, რომ ბევრ პრინციპულ შეხვედრას შინ, კიევში, ნაცნობ გულშემატკივართა გარემოცვაში ჩაატარებენ.

დანარჩენ შვიდ გუნდს საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის თითქმის არავითარი შანსი არა აქვს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ ანგარიში არ უნდა გავუწიოთ.

თბილისის „ბურევესტნიკი" ჯერჯერობით X ადგილზეა. ამავე ადგილზე იყო იგი 1958 წელს, რაც სტუდენტი კალათბურთელების ყველაზე დიდი მიღწევაა სსრ კავშირის პირველობებში. დარჩენილი შეხვედრების უმეტესობას ისინი შინ ჩაატარებენ და საფიქრებელია, წარმატებასაც მიაღწევენ. ამ გუნდს სარგებლობა უნდა მოუტანოს აუტსაიდერთან — ბაქოს „ბურევესტნიკთან" ბოლო წაგებამაც.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ქვეყნის ჩემპიონატის ჩატარების ახალ სისტემაზე. ეჭვი არ არის, იგი პროგრესულია — ამას ყველა მწვრთნელი ერთხმად აცხადებს. კალათბურთელები ტექნიკურად უკეთ გამოიყურებიან, გაუმჯობესდა ყველა ხაზის თამაში, უკეთ სრულდება ბევრი ტექნიკური ილეთი და ყოველივე ეს ძალიან სწრაფ ტემპში კეთდება.

მოვიყვან რამდენიმე სტატისტიკურ მონაცემს, რომლებიც, ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება. აი, რა მდგომარეობა აქვთ გუნდებს საჯარიმო სროლის შესრულების მხრივ პირველი წრის შედეგების მიხედვით:

| | |
|---|---|
| I. „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | — 72,8 პროცენტი |
| II. „კალევი" (ტარტუ) | — 71,7 „ |
| III. „დინამო" (თბილისი) | — 70,7 „ |
| IV. „სპარტაკი" (ლენინგრადი) | — 70,6 „ |
| V. ვეფ (რიგა) | — 69,3 „ |
| VI. ასკ (რიგა) | — 69,2 „ |
| VII. „ბურევესტნიკი" (თბილისი) | — 68,7 „ |

ბოლო, XII ადგილზეა კიევის „სტროიტელი" — 62,8 პროცენტი.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის შედეგებთან შედარებით ყველა გუნდმა 3-6 პროცენტით გააუმჯობესა ამ ტექნიკური ილეთის შესრულება.

პირველი წრის შედეგების მიხედვით საჯარიმო სროლის შესრულებაში I და II ადგილები მაღალაშვილსა (84,3 პროცენტი) და ლომაძეს (81,2) უჭირავთ. მათი მაჩვენებლები გაცილებით მაღალია ბელოვისა და ლეპმეტსის შედეგებზე, რომელთაც სპარტაკიადაში იგივე ადგილები დაიკავეს.

შევადაროთ მეორე მაჩვენებელიც. ახლა გუნდი აღწევს უკეთეს შედეგებს, ვიდრე წინა ჩემპიონატებსა და ხალხთა სპარტაკიადებში აღწევდა. მაგალითად, ბაქოს კალათბურთელები სპარტაკიადაში თავიანთ გუნდს საშუალოდ 63 ქულას აძლევდნენ — ახლა კი ეს ციფრი 75-მდე გაიზარდა. საქართველოს კალათბურთელები შესაბამისად 67-დან 73 ქულამდე ავიდნენ, რუსეთის კალათბურთელები 56-დან 64-მდე და ა. შ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მაგრამ ახალმა სისტემამ ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემაც დააყენა როგორც მწვრთნელთა, ისე შეჯიბრების ორგანიზატორთა წინაშე. მაგალითად, მწვრთნელების წინაშე დადგა შემდეგი ერთობ მტკივნეული საკითხი: რა უნდა გაკეთდეს, რომ მოთამაშემ ხანგრძლივი პერიოდით შეინარჩუნოს ფორმა. მნიშვნელოვანია რეზერვის საკითხიც. ორგანიზატორების წინაშე კი დგას კალენდრის გაუმჯობესების ამოცანა, ანუ „ფანჯრების" მოწყობის საკითხი როგორც დასვენებისთვის, ისე საერთაშორისო შეხვედრების ჩატარებისთვის. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა თამაშებს შორის 3-4-კვირიანი შესვენებების მოწყობა.

უაღრესად მნიშვნელოვანია მსაჯობის გაუმჯობესების საკითხიც. კალათბურთელთა შეხვედრების მსაჯობა სულ უფრო რთულდება. თამაში დღეს უფრო ტექნიკურია და სწრაფი, მსაჯები კი ასეთივე წარმატებით როდი იუმჯობესებენ ფორმას.

როგორც ჩანს, საკავშირო ჩემპიონატის მსაჯობა 115 კაცს კი არ უნდა დაევალოს, როგორც ეს ახლა მოხდა, არამედ 50-60 საუკეთესო არბიტრს, რომლებიც ამ ჩემპიონატში გამოიჩენენ თავს.

**ს. სინიაკოვი,**
კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო და საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# სასარგებლო ექსპერიმენტი

თბილისი. სპორტის სასახლე. 1 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (ბაქო) 85:74 (41:26).

„დინამო": მოსეშვილი (25), მაღალაშვილი (14), ქარაბაკი (12), კაზანჯიანი (8), ჩიხლაძე (12), ბოლქვაძე (6), ქორქია (4), ნარიმანიძე (4), ლეონტიევი.

„ბურევესტნიკი": სილიაევი (15), ტერეშჩენკო (16), მუხინი (11), ემელიანოვი (8), პეტროვი (6), დადიანი (2), იზრაილოვი (10), ალიევი (6).

მსაჯები: გ. მუხამეძიანოვი და ი. პოზნიაკი (ორივე — ყაზანი).

ლენინგრადის სპარტაკელებთან მეტისმეტად ძნელი და მომქანცველი მატჩების შემდეგ თბილისის „დინამოს" კალათბურთელებისთვის აუცილებელი იყო ნერვიული განმუხტვა. მაგრამ გრაფიკში ჩამორჩენის გამო (ჩვენს გუნდს ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩასატარებელი) მას კანონიერი დასვენების უფლება „წაართვეს" და გუნდი უკვე მეორე დღეს მორიგი მეტოქის წინაშე წარსდგა.

„დინამომ" თავად ნახა გამოსავალი: ბაქოს „ბურევესტნიკთან" მატჩში ძირითადი შემადგენლობა დაასვენა და ასპარეზზე მეორე ხუთეულს დაუთმო. ეს მართლაც სასარგებლო ექსპერიმენტი გამოდგა, ვინაიდან ახალგაზრდებს (ქარაბაკი, ბოლქვაძე, ჩიხლაძე, ლეონტიევი) გამოცდილ ოსტატებთან თამაშის საშუალება მიეცათ. ვეტერანებმაც (პირველ ყოვლისა, მოსეშვილმა) მხარი აუბეს მათს ენთუზიაზმს და შეხვედრა ძალიან საინტერესოდ წარიმართა.

პირველ ტაიმში დინამოელებმა აშკარად დაჩაგრეს მეტოქე. 15-ქულიანი სხვაობა უკვე ბევრს ნიშნავდა. შესვენების შემდეგ ანგარიშში განსხვავებამ 23 ქულას მიაღწია. და აი, აქ გამოიჩინეს მასპინძლებმა დანაშაულებრივი გულგრილობა, რის შედეგადაც სტუმრებს იმედის რაღაც ნაპერწკალი ჩაუსახეს (ანგარიში გახდა 67:62). მაგრამ თამაშს, რა თქმა უნდა, წასაგები პირი არ უჩანდა და მასპინძლებმა მალე აღადგინეს „სტატუს-კვო".

**ნ. გუგუშვილი.**

# წერილი რედაქციას

„ამას წინათ „ლელოში" დაიბეჭდა წერილი სათაურით „იალღუჯის ბილიკებით", რომელშიც ლაპარაკი იყო მოტოკროსში რესპუბლიკური ტურნირის შედეგებზე. გაზეთში აღნიშნულია, საერთო გუნდურ ჩათვლაში III ადგილი ქუთაისის ავტო-მოტოკლუბმა დაიკავაო. სინამდვილეში III ადგილი ახალციხელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. გთხოვთ შეამოწმოთ და შეცდომა გაასწოროთ.

ახალციხის ავტო-მოტოკლუბის უფროსი ა. გელაშვილი".

* * *

რედაქციისაგან: აღნიშნული ფაქტის შემოწმებით გამოირკვა, რომ შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიამ შედეგების დაანგარიშებისას III ადგილი და [illegible]ეგელი შეცდომით მიაკუთვნა ქუთაისის გუნდს. ეს შეცდომა მხოლოდ ახალციხელთა პროტესტის საფუძველზე გაზეთში მასალის გამოქვეყნების შემდეგ გაუსწორებიათ. ამრიგად, მოტოკროსში რესპუბლიკური ტურნირის მესამე პრიზიორია ახალციხის გუნდი.

# პირველად

ავჭალის სასროლეთზე დამთავრდა უძლიერეს ტყვიის მსროლელთა რესპუბლიკური ტურნირი. ნებისმიერი შაშხანით მცირე სტანდარტზე (3×20) სროლაში გამარჯვებისთვის ბრძოლა ძირითადად ვ. ახალაძეს, ლ. ოსტრიკოვსა და ა. მარუთიანს შორის გაჩაღდა. მარუთიანმა წოლელა სროლაში 200-დან მხოლოდ 1 ქულა დაკარგა, ჩოქელაშიც კარგად ჩააბარა გამოცდა (189 ქულა) და დაწინაურდა. ახალაძეს ორი მდგომარეობის ჯამში 277 ქულა ჰქონდა. მან 1 ქულით ჩამოიტოვა ოსტრიკოვი. მაგრამ ასეთ შეჯიბრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა დგომელა სროლას ენიჭება. ბოლო ვარჯიშში ოსტრიკოვმა 184 ქულა მოაგროვა, ახალაძემ — 178, მარუთიანმა კი 173, მაგრამ სტანდარტზე გამარჯვებისთვის მარუთიანს ესეც ეყო.

„გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგ გასროლაში ახალგაზრდა სპორტსმენების შეჯიბრების შემდეგ სპორტის ოსტატთა რიგებს კიდევ ერთი კაცი შეემატა — ი. ციციშვილი (დოსააფი).

საქართველოში პირველად გაიმართა შეჯიბრება პნევმატური შაშხანით 10 მეტრიდან დგომელა სროლაში. თვითეულ მონაწილეს 30-ჯერ უნდა გაესროლა. სპორტის ოსტატებმა ვ. პანკოვმა და ლ. ოსტრიკოვმა საბოლოოდ 300-დან 271–271 ქულა დააგროვეს, მაგრამ პირველობა პანკოვს მიეკუთვნა, ვინაიდან ბოლო სერიაში მან 1 ქულით აჯობა მეტოქეს. III ადგილზეა ე. აბაჯანი — 269.

შეჯიბრების შემდეგ შედგა საქართველოს ნაკრები, რომელიც 20 აპრილიდან ჩვენი ქვეყნის 8 უძლიერესი გუნდის ტურნირში ჩაებმება ოდესაში.

**ა. ოსიპოვი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათზე: არმიელი სპორტის ოსტატი ე. კარტაშიანი, რომელმაც ტურნირში სამი გამარჯვება იზეიმა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## თბილისი

ხელოვნების მუშაკთა სახლში დამთავრდა 8 მარტისადმი მიძღვნილი მოჭადრაკე ქალთა ტურნირი. I ადგილი დაიკავა სამხატვრო აკადემიის თანამშრომელმა ი. ბუჩუაძემ, II — მომღერალმა ნ. კიკვაძემ.

**ი. თორდია.**

## სოხუმი

„სპარტაკის" ბაზებზე დამთავრდა საშუალო და სპეციალური სასწავლებლების ქალთა I სპარტაკიადა. პროგრამაში იყო ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში და მაგიდის ჩოგბურთი. საერთო პირველობა და გარდამავალი თასი დაისაკუთრა ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდმა.

**გ. ჟორდანია.**

## ზუგდიდი

ტყვიის მსროლელთა რაიონულ პირველობაში 400 კაცი მონაწილეობდა. სკოლების ჯგუფში გაიმარჯვეს ზედა ეწერის სპორტსმენებმა, ჩაის ფაბრიკების ჯგუფში — 1-ლი ფაბრიკის კოლექტივმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველობა ანაკლიის მერძევეობა-მეკამეჩეობის მეურნეობის სპორტსმენებმა მოიგეს. პირად პირველობაში უძლიერესი იყო შ. ტორჩინავა (ჩაის 1-ლი ფაბრიკა), II ადგილზე გავიდა გამარჯვებულის ვაჟი ფ. ტორჩინავა, III — კ. გვასალია (ანაკლიის მეურნეობა).

**ა. ბაკურაძე.**

## ყაზბეგი

რაიონის მოსწავლე-მოთხილამურეთა პირველობა საშუალო სკოლების გუნდებში მოიგეს ყაზბეგელებმა, რომელთაც გადაეცათ განათლების განყოფილების გარდამავალი თასი. რვაწლიან სკოლებში ყველას აჯობა გორისციხის გუნდმა. 5 კილომეტრზე ბიჭების რბენაში ბადალი არ ჰყავდა გ. ფიცხელაურს (ყაზბეგი), ხოლო გოგონებში პირველი იყო სნოელი ნ. ვარძუკაშვილი. ბიჭების რბოლა 3 კილომეტრზე მოიგო შ. ჩქარეულმა. გოგონებში ამ დისტანციაზე გაიმარჯვა ლ. ავსაჯანიშვილმა (ორივე — გორისციხე).

**ი. ღუდუშაური,**
ყაზბეგის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

## მესტია

რაიონის მოთხილამურეთა ჩემპიონატში 130-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. გაიმარჯვა მესტიის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილზე გავიდა მესტიის მე-2 სკოლის ნაკრები, ხოლო III — მულახელ ფიზკულტურელთა კოლექტივი.

**ბ. მჭედლიანი,**
მესტიის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

## ყვარელი

აქ გაიმართა „კოლმეურნის" რაიონული პირველობა ქართულ ჭიდაობაში. I-II ადგილები გაინაწილეს ყვარლის რაიკოოპკავშირისა და შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის გუნდებმა. III ადგილი წილად ხვდათ შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ათლეტებს.

**გ. გოგინაშვილი.**

## თერჯოლა

რაიონის მასწავლებელთა საჭადრაკო პირველობაში I-III ადგილები გაიყვეს მათემატიკოსებმა ვ. ბრეგვაძემ, ს. სახელაშვილმა (ორივე — ჩხარის საშუალო სკოლა) და ი. კობზირიძემ (ღვანკითის საშუალო სკოლა). დამატებით მატჩ-ტურნირში გაიმარჯვა ბრეგვაძემ.

* * *

რაიონის მოსწავლეთა გუნდურ პირველობაში 13 საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა მიიღეს მონაწილეობა. ყველას აჯობეს ჩხარის სკოლის წარმომადგენლებმა. II ადგილი ხვდა ქვედა სიმონეთის, ხოლო III — ზედა სიმონეთის სკოლის გუნდს.

**ლ. ჯიჯიაშვილი.**

# პრობლემა: „ნაკრები და კლუბი“

მალე, 4 მაისს, სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს ბუდაპეშტში მოუწევს სეზონის პირველი დიდი გამოცდის ჩაბარება. ამ დღეს ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში იგი შეხვდება უნგრეთის ეროვნულ გუნდს. შემდეგ, 11 მაისს, განმეორებითი თამაშია მოსკოვში, ამას მოჰყვება გადამწყვეტი შესარჩევი შეხვედრები მეხიკოს საგზურისთვის ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიელებთან.

როგორ ემზადება ამ გამოსვლებისთვის სსრ კავშირის ნაკრები? ამ შეკითხვით მიმართა საკდესის კორესპონდენტმა ნაკრების უფროს მწვრთნელს მ. იაკუშინს, რომელიც გუნდთან ერთად ახლახან დაბრუნდა უცხოეთის ტურნედან.

— ჩვენი მგზავრობა მექსიკასა და საფრანგეთში ძირითად მიზნად ისახავდა შემდეგს: ფიზიკური მომზადებისა და ბურთის ფლობის ტექნიკის ამაღლებას და ცალკეული რგოლების ტაქტიკური ურთიერთმოქმედების გაუმჯობესებას,— თქვა იაკუშინმა. — ჩემი აზრით, 8 ამხანაგურ მატჩში (მათგან 2 მექსიკის ნაკრებთან) დამაჯერებლად ითამაშეს გამოცდილმა მცველებმა და ნახევარმცველებმა — შესტერნიოვმა, აფონინმა, ანიჩკინმა, ისტომინმა, საბომ. სამწუხაროდ, თავდამსხმელთა შორის გამოირჩეოდა მხოლოდ ჩისლენკო. დებიუტანტთაგან ქებას იმსახურებს ცსკა-ს მოთამაშე კაპლიჩნი. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მომავალში ოსტატობას აიმაღლებენ კიეველები რუდაკოვი და ლევჩენკო, თბილისელები ასათიანი და გ. ნოდია, ბაქოელი სმოლნიკოვი.

საერთოდ, უკანა ხაზების იმედი გვაქვს, მაგრამ გვაფიქრებს თამაში თავდამსხმელებისა, რომლებსაც ერთობ ნელა და მცირე რაოდენობით ამზადებენ კლუბებში. დარჩენილ დროში შევეცდებით ნაკრებში მივიწვიოთ ახალი კანდიდატები. უკვე 18 აპრილს უძლიერესი მოთამაშეები კვლავ მოიყრიან თავს და 24 აპრილს მოსკოვში შეხვედრებით ბელგიის ნაკრებს.

შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მე ხშირად ვწყვეტ მოთამაშეებს თავიანთ კლუბებს, — განაგრძო უფროსმა მწვრთნელმა. — მაგრამ ეს იძულებითი ღონისძიებაა და მას მივმართავ მანამ, სანამ არ გვეყოლება ექსტრა-კლასის ფეხბურთელთა საკმარისი რაოდენობა. სწორად გამიგეთ: ნაკრები არაა განცალკევებული ჯგუფი. არსებობს მუდმივი გაცვლები ნაკრებსა და კლუბებს შორის, ჩნდება ახალი სახელები. უარესი სხვაა: ზოგიერთი მწვრთნელი სხვადასხვა საბაბით ცდილობს დაიტოვოს კლუბში ნაკრების კანდიდატები.

დიახ, პრობლემა „ნაკრები და კლუბი“ ყველას აღელვებს. ჩვენ გვსურს საინტერესო მატჩებიც საკავშირო ჩემპიონატში და ნაკრების წარმატებითი გამოსვლებიც საერთაშორისო სარბიელზე. ამ პრობლემის გადაწყვეტაში პირველი ადგილი ეკუთვნის ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას, ნაკრები გუნდების განყოფილებას, რომელსაც ახლა ხელმძღვანელობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ან. სტაროსტინი. ეტყობა, საჭიროა კლუბებისა და ნაკრების ზუსტი, მოქნილი ურთიერთკავშირი, ეროვნული ნაკრების დაკომპლექტების უცხოური გამოცდილების გამოყენება, საშინაო კალენდრის რიტმულობა.

ყოველ შემთხვევაში, ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას და გადაიჭრას რაც შეიძლება მალე.

ა. კაჩალოვი.

## ვადები ცნობილია

**მოსკოვი,** 1 აპრილი. ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციები შეთანხმდნენ, რომ ამ ორი ქვეყნის ოლიმპიური გუნდების გადამწყვეტი შესარჩევი მატჩები მეხიკოს ფინალურ საფეხბურთო ტურნირში ადგილის მისაღებად შედგება 21 მაისს მოსკოვში და 2 ივნისს ოსტრავაში.

# ვეტერანის სახელობისა

დამთავრდა წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში შ. შავგულიძის სახელობის თასზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივები.

I ქვეჯგუფში ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა ქობულეთის „შუქურა“ და გაიხალდა I ადგილი. ჭიათურის „მაღაროელმა“, რომელსაც აგრეთვე ჰქონდა შესაძლებლობა გაემარჯვა ქვეჯგუფში, მარცხი განიცადა ფოთში ადგილობრივ „კოლხეთთან“ — 0:1. ამავე ანგარიშით დაამარცხა ზუგდიდის „ენგურმა“ სოხუმის „დინამო“.

გორის „დილას“ ფაქტიურად განაღდებული ჰქონდა I ადგილი II ქვეჯგუფში. გორელმა ფეხბურთელებმა ბოლო ტურშიც გამარჯვება მოიპოვეს რუსთავის „მეტალურგთან“ — 1:0.

მახარაძეში ფრედ (1:1) ითამაშეს ადგილობრივმა „მერცხალმა“ და გურჯაანის „ალაზანმა“.



საკავშირო ჩემპიონატი-68

# შეიძლებოდა თუ არა ქულის გადარჩენა?

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ეს ნათლად იგრძნობოდა თვით მატჩის მსვლელობის დროსაც, ტრიბუნიდან, და ახლაც, როცა უფრო დაწყნარებით და მშვიდად იხსენებ ამ საინტერესო მატჩის პერიპეტიებს.

ქუთაისელ მაყურებელს საკავშირო ჩემპიონატის პირველივე ტურში მოუწია საბჭოთა ფეხბურთის ყველაზე უფრო ტიტულოვანი და საყოველთაოდ აღიარებული გუნდის ნახვა საკუთარ სტადიონზე, ხოლო ჩვენს გუნდს — „ტორპედოს“ ასეთი სერიოზული მეტოქის წინაშე გამოცდის ჩაბარება.

შედეგი ახლა ყველამ იცის — ტორპედოელები დამარცხდნენ. მაგრამ ისევ და ისევ ვუბრუნდებით ადრე მოხსენიებულ, „აკვიატებულ“ აზრს: შეიძლებოდა თუ არა ქულის გადარჩენა?

ვიმეორებთ: შეიძლებოდა.

მივყვეთ მატჩის მსვლელობას. მის არც ერთ ეტაპზე, არც შესვენებამდე, არც შემდეგ არ იგრძნობოდა კიეველთა ისეთი დიდი უპირატესობა, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა გამარჯვება 2 „მშრალი“ ბურთით. მართალია, ჩემპიონი შესამჩნევ ინიციატივას ფლობდა მინდვრის შუაგულში, სადაც მას პირველხარისხოვანი შემსრულებლები და კომბინაციური სტილის ნამდვილი სპეციალისტები ჰყავს, მაგრამ ეს არავისთვის არ იყო მოულოდნელი. კიევის „დინამოს“ უმთავრესი ძალა ახლა მინდვრის ცენტრალურ ზონაში თამაშში მდგომარეობს. აქ ჰყავს მას თავმოყრილი თავისი საუკეთესო მოთამაშეები, აქ ეყრება საფუძველი მის მძლავრ იერიშებს, აქ წარმოებს მძაფრი ბრძოლა მეტოქის შეტევის გასანელებლად და სანამ ეს ბრძოლა დამთავრდება, კიეველთა დაცვაში, როგორც წესი, ყველაფერი მოწესრიგებულია ხოლმე.

მაგრამ მარტო მინდვრის შუაგული ხომ არ წყვეტს ყველაფერს ფეხბურთში? ტორპედოელთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა (და სავსებით მართებულადაც) პერსონალურ დარაჯობაზე გაემახვილებინა ყურადღება და მჭიდროდ აეყვანა მოწინააღმდეგის ყველაზე სახიფათო თავდამსხმელები. ამ გეგმის შესრულება ნიშნავდა იმას, რომ ლოსაბერიძეს თამაშიდან უნდა გამოეთიშა ხმელნიცკი, წივწივაძეს — ბიშოვეცი, ჩხაიძეს — სერებრიანიკოვი, ერქომაიშვილს — მუნტიანი.

გეგმა ძირითადად შესრულდა. პირველ ტაიმში, მაგალითად, ბიშოვეცს და ხმელნიცკის თითქმის არ ჰქონიათ შესაძლებლობა დამიზნებით დაერტყათ კარისკენ, არც მედვიდი წარმოადგენდა სახიფათო ფიგურას კიეველთა შეტევისას.

მაგრამ აი, სერებრიანიკოვთან და მუნტიანთან ბრძოლა კი ძნელი გამოდგა. ძალიან ძნელი. სერებრიანიკოვი ახლა მოწინავე მოთამაშეა კიევის „დინამოში“. იგი გუნდის დისპეტჩერია. კიეველთა მხრივ ყველაფერი დაკავშირებულია სერებრიანიკოვთან. მას აწოდებენ, მისგან ელიან... ამ ფეხბურთელმა იცის თავისი საქმე. როგორც კი იგრძნობს მეტოქის „მარწუხებს“, სერებრიანიკოვი წამსვე იცვლის დისპოზიციას, ახალ კავშირს ამყარებს პარტნიორებთან, გამუდმებით ეძებს და ნახულობს კიდეც გზებსა და კომბინაციურ არხებს თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

ასეთივე „ძნელი“ ფეხბურთელია მუნტიანი. მისი სამოქმედო დიაპაზონი ვერ ეტევა საერთოდ მიღებულ, ნორმირებულ ფარგლებში. დიდი სისწრაფე, ენერგია, შრომისუნარიანობა და ტექნიკა მუნტიანს საშუალებას აძლევს შუა მინდორში წამოწყებული თამაში დროის მინიმალური დაკარგვით გადაიყვანოს უშუალოდ მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე, უშუალოდ კართან.

აი, უმთავრესად ამ ორმა მოთამაშემ გადაწყვიტა კიეველთა გამარჯვების საკითხი, მაგრამ მინდორზე კიდევ იყო ფეხბურთელი, რომელიც აშკარად გამოირჩეოდა თავისი ინდივიდუალური, ძლიერი, სანახაობრივი თამაშით. ეს იყო ქუთაისელთა ცენტრალური თავდამსხმელი ხაჟალია. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ისმოდა მეკარე ბანიკოვის ძახილი კარიდან: ხაჟალია, ხაჟალია, დაიჭით ხაჟალია!

პირდაპირ ვიტყვით: ხაჟალიას რამდენადმე მაინც აქტიური მხარდაჭერა რომ ჰქონოდა უახლოესი პარტნიორების — ხუციშვილისა და ხერხაძის მხრივ, იგი ბოლოსდაბოლოს მაინც გაიტანდა თავისას და აიღებდა კიეველთა კარს, ვინაიდან ყოველი იერიშის დროს იგი, როგორც წესი, სძლევდა კიეველთა 2-3 მცველის წინააღმდეგობას; გადიოდა სახიფათო პოზიციაში, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მას „მაშველი ძალები“ ვერაფერ მაშველობას ვერ უწევდნენ და ხაჟალიასაც ისევ თავიდან უხდებოდა შეწყვეტილი შეტევის დაწყება. ამის გამო იყო იძულებული ეს ეფექტური თავდამსხმელი ბურთის საპოვნელად მინდვრის სიღრმეში დაბრუნებულიყო. ეს კი კიეველებს „სულის მოთქმის“ საშუალებას აძლევდა.

უკვე მატჩის დასაწყისში გაიყვანა ხაჟალიამ კარის წინ ხერხაძე და ბანიკოვმა მხოლოდ ბოლო მომენტში მიუსწრო ბურთს მის ფეხებთან. შემდეგ დინამოელთა მეკარეს მოუხდა ერქომაიშვილის შორი დარტყმის მოგერიება, ხოლო 30-ე წუთზე ხუციშვილმა დაკარგა გოლის გატანის ნაღდი შანსი: მან წამით დააგვიანა და ბურთი ბანიკოვმა იგდო ხელთ.

გოლი, რომელიც კიეველებმა გაიტანეს ტაიმის ბოლო წუთებზე, მასპინძელთა ნახევარზე დაშვებული დასანანი შეცდომის შედეგი იყო. ყოვლად „უვნებელ“ სიტუაციაში წვერავა კუთხური სექტორის სიახლოეს დაჯარიმდა. მუნტიანმა მოაწოდა ბურთი და დიდი სისწრაფით წინ გამოსულმა ლევჩენკომ თავით გაიტანა გოლი.

მეორე ტაიმის დასაწყისში ქუთაისელებს ისევე ჰქონდათ სახიფათო მომენტები. კიეველთა მცველებმა ნამდვილი ნადირობა გამართეს ხაჟალიაზე. მას ფეხდაფეხ დასდევდნენ, აქცევდნენ, ზედიზედ ჯარიმდებოდნენ, თავაზიან ფორმებში იხდიდნენ ბოდიშს მსაჯის წინაშე და ისევ ფეხდაფეხ დასდევდნენ ხაჟალიას.

ერთი სიტყვით, მინდორზე საპასუხო გოლის სიტუაცია სუფევდა და სწორედ ამ მომენტში კიეველებმა თავიანთი ნაცადი, ზუსტი კომბინაცია გაითამაშეს. ბიშოვეცი უცებ მოწყდა წივწივაძეს და მუნტიანის შორი გადაცემა მიიღო. სანამ მცველი დაეწეოდა თავდამსხმელს, მან სწრაფად გაიარა საჭირო მანძილი, მიუახლოვდა კარს და უძლიერესი დარტყმით გაიტანა მეორე გოლი.

ამის შემდეგ კიეველებმა სწრაფად გადაიყვანეს თამაში „ენდშპილში“, ჩააქრეს ტემპი, კიდევ უფრო გაამაგრეს ზურგი და გამარჯვება შეინარჩუნეს ისე, რომ დიდად აღარ გაჭირვებიათ.

ქუთაისის „ტორპედომ“, მართალია, წააგო მატჩი, მაგრამ საგანგაშო აქ არაფერი გახლავთ. ჩემპიონი ჩემპიონია და მასთან დამარცხება, მით უმეტეს ისე, როგორც ეს ამჯერად მოხდა, ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩვენი აზრით, ტორპედოელები კარგ ფორმაში არიან და კარგადაც უნდა ითამაშონ წლევანდელ სეზონში.

ბ. ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

* * *

მოწინააღმდეგეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი:

ქ უ თ ა ი ს ი: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, წვერავა, ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ხუციშვილი (ვეკუა), ხაჟალია, ხერხაძე.

კ ი ე ვ ი: ბანიკოვი, ვანკევიჩი, სოსნიხინი, ოსტროვსკი, ლევჩენკო, ტურიანჩიკი, მუნტიანი, ბიშოვეცი (პარკუიანი), მედვიდი, სერებრიანიკოვი, ხმელნიცკი.

მატჩს მსაჯობდა მოსკოველი არბიტრი ს. ალიმოვი.

# მიზანთან ახლოს

ბობრუისკში დამთავრდა სსრ კავშირის „ა“ კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ქალთა ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის შეხვედრები. ამ ტურში თბილისის „ბურევესტნიკმა“ 3 შეხვედრა მოიგო და 1 წააგო: გაიმარჯვა ტალინის „კალევთან“ (3:2), ფრუნზეს „ბურევესტნიკთან“ (3:0), ლენინგრადის „ტრუდთან“ (3:1) და დამარცხდა ვორონეჟის „დინამოსთან“ (1:3). ისევე, როგორც პირველ ტურში, თავი ისახელა თბილისელმა ც. აბუაშვილმა, რომელმაც საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზი მიიღო. თბილისელთაგან გამოირჩეოდნენ, აგრეთვე, ვ. პერეკრიოსტოვა და ი. თევოსიანი.

15 გუნდის გათამაშების ცხრილში 19-19 ქულით (11 შეხვედრიდან) I-II ადგილებს იყოფენ ტაშკენტის „სპარტაკი“ და ლენინგრადის „ზენიტი“. 10 თამაშიდან დონეცკის „სპარტაკმა“ 18 ქულა დააგროვა, ხოლო თბილისის „ბურევესტნიკმა“ — 17 (7 გამარჯვება, 3 წაგება).

პირველი წრის დარჩენილ მატჩებს გუნდები გამართავენ 10-14 ივლისს კრასნოდარში. თბილისელები შეხვდებიან ტაშკენტის „სპარტაკს“, სვერდლოვსკის „ზენიტს“, ერევნის „სპარტაკს“ და ვილნიუსის „ქალგირისს“. I-VI ადგილებზე გასულნი გაითამაშებენ დასკვნით, მეორე წრეს. ამ ექვსეულში გამარჯვებული გაისად „ა“ კლასის I ჯგუფში ითამაშებს. ამავე ექვსეულში II-III ადგილებზე გასული გუნდები „ა“ კლასის I ჯგუფში XI-XII ადგილებზე გასულებთან ერთად იასპარეზებენ. აქ გამარჯვებულსაც მიეცემა უფლება გაისად „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებში ითამაშოს.

თბილისელებს ჯერჯერობით ცუდად როდი აქვთ საქმე. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მიზანთან ახლოს დგანან.

ფ. ლეონიძე.



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის ნორჩი დინამოელები ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

PRZEGLAD SPORTOWY

Sport

SPORTSKE NOVOSTI

Népsport

Советский спорт

# პასუხისმგებლობა ბრენდეჯს ეკისრება

პნომ-პენი, 2 აპრილი. „კამბოჯა მხარს უჭერს ყველა ქვეყანას, რომელსაც მომავალი ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი აქვს განზრახული და მიაჩნია, რომ ამჟამინდელი კრიზისი გარდუვალი იყო", — ნათქვამია კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურის, პრინც ნოროდომ სიანუკის წერილში საფრანგეთის სპორტულ გაზეთ „ეკიპის" მიმართ, რომელიც დღეს ჟურნალ „სანგკუმში" გამოქვეყნდა. „პასუხისმგებლობა ამ კრიზისის გამო ეკისრებათ ევერი ბრენდეჯსა და მათ, ვისაც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში თავისი დიქტატურის შენარჩუნების იმედი ჰქონდა", — ხაზგასმითაა აღნიშნული წერილში.

წერილში მითითებულია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა რასობრივ და პოლიტიკურ დისკრიმინაციას ატარებს. „მე ვფიქრობ, საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობა განწირულია, თუ აშშ-ს კონტროლის ქვეშ დარჩა", — აცხადებს ნოროდომ სიანუკი. იგი იმედს გამოთქვამს, რომ „ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი საფრანგეთი ყველა ევროპული ქვეყნის დახმარებით ხელთ აიღებს ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას და მოძრაობას ახალ სულისკვეთებას მისცემს".

# რეკორდსმენის თვითმხილება

ლონდონი, 1 აპრილი. დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთმა საუკეთესო მძლეოსანმა ალან სიმპსონმა გადაწყვიტა უარი თქვას ვერცხლის მედალზე, რომელიც მან ბრიტანეთის ერთა მეგობრობის სპორტულ თამაშებში მოიპოვა... 1966 წელს კინგსტონში (იამაიკა). სიმპსონს ეს მედალი დაუმსახურებელ ჯილდოდ მიაჩნია, ვინაიდან ზემოხსენებულ შეჯიბრებაში ჩაბმის წინ იგი აღმგზნებ საშუალებებს ღებულობდა.

სპორტსმენმა ეს აღიარა გაზეთ „პიპლში" გამოქვეყნებულ წერილში.

„მე, რა თქმა უნდა, არ ვამაყობ ჩემი საქციელით. ეს იყო ყველაზე საძაგელი ნაბიჯი, რომელიც კი ოდესმე გადამიდგამს", — წერს სიმპსონი.

აი, როგორია ამ „ნაბიჯის" ისტორია...

კინგსტონის თამაშების დროს ერთმა ბრიტანელმა ველოსიპედისტმა სიმპსონს აღმგზნები პრეპარატი ამფეტამინი შესთავაზა: „რატომ არ გინდა მიბაძო ზოგიერთ ჩვენს ჩემპიონს და შენც სინჯო ეს?". სიმპსონი დათანხმდა. მან მიიღო ამფეტამინი ერთ მილზე წინასწარი გარბენის წინ. ამას გამარჯვება მოჰყვა — 4.02,0. „ასე მსუბუქად მანამდე არასოდეს მირბენია, — ამბობს სიმპსონი, — და ამიტომ გადავწყვიტე დოპინგი ფინალური შეჯიბრების წინაც მიმეღო".

სიმპსონი „ეფექტს" ელოდა დაახლოებით 21 საათზე ადგილობრივი დროით, როცა გადამწყვეტი გარბენი იყო დანიშნული, მაგრამ... ფინალური შეჯიბრება გადადეს. დოპინგმა უფრო ადრე გააკეთა თავისი საქმე, ვიდრე საჭირო იყო და დიდი ბრიტანეთის რეკორდსმენი ფინიშთან გამოჩენილი კენიელი სპორტსმენის კიპჩოგე კეინოს შემდეგ მივიდა.

სიმპსონმა, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში IV ადგილი დაიკავა 1500-მეტრიან დისტანციაზე, ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება კინგსტონის მედლის თაობაზე: „თუ ჩემი ამბავი თუნდაც ერთ სპორტსმენს იხსნის დამღუპველი ნაბიჯისგან, მაშინ ეს წერილი ტყუილუბრალოდ არ დამიწერია".

ამასთან, სიმპსონი ხაზგასმით აღნიშნავს: ჩემი ამბავი ადასტურებს, რომ ბევრი მსოფლიო კლასის სპორტსმენი დოპინგის პრობლემის წინაშე დგასო.

თავად სიმპსონს განზრახული აქვს ჩამოსცილდეს სპორტს: „არ მინდა ცხოვრება ჩემი თანამემამულე ტომი სიმპსონივით დავამთავრო, რომელიც შარშან „ტურ დე ფრანსის" ველორბოლაში დაიღუპა დოპინგის მიზეზით".

# პრობლემა: ნილსენი — ჰალერი

ცნობილი დანიელი ცენტრალური თავდამსხმელი ჰ. ნილსენი, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით თამაშობდა იტალიის „ბოლონიაში", შარშან აგვისტოში დიდი თანხის ფასად გადაიყვანეს „ინტერში". ე. ერერას მისი დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ახალი თავდამსხმელი გუნდს არ გამოადგა: დანიელმა ვარსკვლავმა ვერ აუბა მხარი პარტნიორებს, რამდენიმე ულიმღამო თამაშის შემდეგ ერერამ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ნილსენზე და იგი ძირითადი შემადგენლობიდან გაიყვანა.

უნილსენოდ ძალზე უკლო თამაშს ცნობილმა გერმანელმა ნახევარმცველმა ჰ. ჰალერმა. იგი ნილსენთან შესანიშნავად იყო შეთამაშებული, ახალ პარტნიორებს კი ვერაფერი გაუგო. „ბოლონიას" ძალიან ეტყობა ამ მოთამაშის „უქეიფობა".

ამ პირობებში „ინტერისა" და „ბოლონიას" ხელმძღვანელებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: ნილსენი „ბოლონიაში" ბრუნდება, ხოლო ჰალერი ითამაშებს „ინტერში"...

# სილა... გამარჯვებულს

ამ დღეებში ბარსელონაში დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს ქვემძიმე წონის არგენტინელი მოკრივე კარლოს დიასი, რომელიც ბარსელონაში იმისთვის ჩავიდა, რომ მეორე პროფესიონალურ მოკრივეს, პორტუგალიელ მიგუელ მუნოცი ფალგუერას შეხვედროდა. მაგრამ ფალგუერამ უარი თქვა ორთაბრძოლაზე. მან განაცხადა, არგენტინელის წონა ლიმიტით დადგენილს აჭარბებსო.

დიასის ნაცვლად ფალგუერას მეტოქეობა გაუწია საკმაოდ სუსტმა მოკრივემ მანჩენომ, რომელიც მან იოლად დაამარცხა — უკვე პირველივე რაუნდში გაისტუმრა ნოკაუტში, არბიტრმა გამარჯვების ნიშნად ფალგუერას ხელი აღმართა.

და აქ მოხდა უჩვეულო რამ. დარბაზში მყოფი კარლოს დიასი თოკებს გადაახტა და რინგზე აღმოჩნდა. მან პორტუგალიელს რამდენიმეჯერ სილა გააწნა და დაიყვირა:

— შე გაიძვერა, მე ვიცი, რომ ორთაბრძოლაზე მხოლოდ იმიტომ თქვი უარი, რომ ცოტა ფული შეგაძლიეს. მაგრამ მე მაინც გაგლახავ უფასოდ.

აქ ისეთი ჩხუბი ატყდა, რომ მხოლოდ პოლიციამ შეძლო მოჩხუბართა დაშოშმინება. ფიცხ არგენტინელს კი პროფესიონალურ კრივში სამართლიანობის ძიებისთვის ციხეში უკრეს თავი.

# [illegible]

## ხუთი თვის მოცურავე

ბელგიელი ცურვის ინსტრუქტორი პელსნერი მეცადინეობას აწარმოებს... ჩვილ ბავშვებთან. იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანმა ჯერ ცურვა უნდა ისწავლოს და მხოლოდ შემდეგ სიარული. ბავშვი ცურვას ადვილად ითვისებს, ვინაიდან ინსტინქტურად აწარმოებს იმ მოძრაობებს, რომლებიც მას წყალზე გაჩერების საშუალებას აძლევს. უფრო მოზრდილი ასაკის ბავშვები კარგავენ ამ ინსტინქტს და გარკვეული შიში უჩნდებათ წყლის წინაშე.

პელსნერი დიდი ხანი ოცნებობდა პრაქტიკაში განეხორციელებინა თავისი თეორია, მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო, ვინაიდან არც ერთ დედას არ სურდა საექსპერიმენტოდ გაეწირა თავისი ბავშვი. ბოლოს, მწვრთნელის ერთ მეგობარს გაუჩნდა შვილი. როცა ბავშვი 5 თვისა შესრულდა, გაბედულმა მამამ იგი ინსტრუქტორს მიუყვანა. დაიწყო მეცადინეობა აუზში. პირველი გაკვეთილები 2 წუთს არ აღემატებოდა. ბავშვი სწრაფად შეეჩვია წყალს და თავისუფლად ცურავდა. ახლა სტეფანი, პელსნერის პირველი მოწაფე, 11 თვისაა და თევზივით ცურავს. გამოჩნდნენ ახალი მოწაფეებიც — 8 თვის მიშელი და 7 თვის ვინცენტი. მათ სხვებიც მოჰყვნენ და ახლა პელსნერს აუარებელი კლიენტურა ჰყავს.



# რეკორდების სიყვარული

19 წლის ჰოლანდიელს იოჰან ვან ვერსტს წლების მანძილზე არ აძლევდა მოსვენებას იმ ოკეანისგაღმელ „რეკორდსმენთა" დაფნის გვირგვინები, ყოველწლიურად რომ აწყობენ საწოლებით რბოლას, ვარცლით ცურვას, კასრების ჭენებას, ეჯიბრებიან ერთმანეთს ცულით როიალის დამტვრევასა და ასობით სოსისის შეჭმაში.

ვერსტმა გადაწყვიტა თავისი საკუთარი „გაუმეორებელი რეკორდი" დაემყარებინა. ამ მიზნით იგი პირველ ყოვლისა გაემართა... სანაგვეზე. აქ ვერსტს ბედმა გაუღიმა და ერთი ძველი აბაზანა აპოვნინა. ძველი ავტომანქანების სასაფლაოზე ჰოლანდიელმა ოთხი მთელი ბორბალი და საჭეც მოძებნა. ვერსტი მეთუნუქეა და ამიტომ ამ ბორბლებისა და საჭის აბაზანაზე მორგება არ გასჭირვებია.

რჩებოდა მთავარი — ძრავა. ახალგაზრდა ჰოლანდიელმა იგი იმავე სასაფლაოზე ნაპოვნი ოთხი ნაწილისგან ააწყო.

„ბორბლებზე შემდგარმა აბაზანამ, — წერს დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი" (გთავაზობთ ამ ჟურნალში დაბეჭდილ სურათს), — კინაღამ ენა ჩაუგდო ჰააგის ფეხით მოსიარულეებს. ისინი განცვიფრებული შესცქეროდნენ ახალგაზრდა კაცს, რომელიც თავისი ფორნით საათში 40 კილომეტრს ავითარებდა".

„გამომგონებელი" დღეს ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი: „მე უკვე მეკუთვნის მსოფლიო რეკორდი აბაზანით რბოლაში, მაგრამ ეს ჩემი ბოლო მიღწევა როდია. ვფიქრობ, სისწრაფე საათში 80 კილომეტრამდე გავზარდო და იმედი მაქვს, რომ უახლოეს ხანში გაიმართება მასობრივი შეჯიბრებები აბაზანებით რბოლაში".

# ჭადრაკის სამყაროში

▲ ვაიმარი. აქ დამთავრდა გდრ-ის ჩემპიონატი, რომელშიც ორი დიდოსტატი და 18 ოსტატი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა ულმანმა — 15,5 ქულა. II ადგილზეა ბაუმბახი (13,5), III-IV — გოლცი და ლიბერტი — 12,5-12,5.

▲ ატლანტა. აშშ-ს ღია ჩემპიონატში (შვეიცარიული სისტემით), რომელშიც 168 კაცი მონაწილეობდა, I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა ბენკომ (11 ქულა 12-დან). მას 1250 დოლარის ღირებულების პრიზი გადაეცა.

▲ ჰავანა. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილ მასობრივ ტურნირში 200 ათასმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა.

▲ ჰელსინკი. ფინეთის ოლიმპიური ნაკრების გამოსავლინებლად ჩატარდა სპეციალური ტურნირი, რომლისგან მხოლოდ საერთაშორისო ოსტატი ვესტერინენი იყო გათავისუფლებული. I ადგილი დაიკავა ოიანენმა — 7,5 ქულა 9-დან.

▲ ბუდაპეშტი. 71 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი უნგრელი საერთაშორისო ოსტატი ვაიდა.

▲ დიჟონი. საფრანგეთის ჩემპიონატში, რომელშიც 24 კაცი მონაწილეობდა (შვეიცარიული სისტემით, 11 ტური), გაიმარჯვა ბუტვილმა — 9 ქულა.

▲ ჰიუგელჰოვენი. ახალგაზრდა ოსტატების — ბესერისა და ჰიუბნეს მატჩი გფრ-ის ჩემპიონის სახელზე დამთავრდა ფრედ — 2:2. ამ მოჭადრაკეთა შორის გაიმართება ახალი მატჩი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ასპარეზი

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა პირველობა. დღეს: „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი). დასაწყისი 20 ს.

**მხატვრული ტანვარჯიში.** ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). 3-4 აპრილი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 17 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 3-8 აპრილი. თბილისის ვაჟთა პირველობა. დასაწყისი 17 ს.

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის" სტადიონი. 4 აპრილი. სსრ კავშირის თასის გათამაშება. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ვოლგა" (ულიანოვსკი). დასაწყისი 17 ს.

სტოკჰოლმი, 2 აპრილი. ევროპული ძალოსნობის ტატნობზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა — გეტებორგელი დურგალი, 23 წლის ბუ იუჰანსონი, რომელმაც დაამყარა შვეციის ახალი რეკორდი ქვემძიმე წონაში — 490 კგ (162,5 + 145 + 182,5). ეს მესამე შედეგია ძალოსნობის ისტორიაში და მხოლოდ საბჭოთა ათლეტების ი. ტალტსისა (502,5 კგ) და ა. კალინიჩენკოს (495) მაჩვენებლებს ჩამოუვარდება.

შარშან შემოდგომიდან იუჰანსონმა 31-ჯერ გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდები სხვადასხვა მოძრაობაში, ხოლო სამჭიდის ჯამი 17,5 კგ-ით დაამძიმა.

# ბუ იუჰანსონი — ოლიმპიური იმედი

„ჩემი მიზანია მეხიკოს ოლიმპიადის ერთ-ერთი მედალი", — განუცხადა რეკორდსმენმა ჟურნალისტებს.

ბ. იუჰანსონი ხშირად მონაწილეობს კულტურისტების კონკურსებში და რამდენიმეჯერ დაუმსახურებია „ჩრდილოეთის ჰერკულესისა" და „სკანდინავიის მისტერის" ტიტულები.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 11 უე 04017